საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 114/ს
09/03/2023

114-21-4-202303091518

ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდინარე ძინძესწყალზე შპს „ჰაიდრო ინვესტ ჯი ეის“ 5,2 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ზარზმა ჰესის) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“, მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტისა და II დანართის 9.13 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდინარე ძინძესწყალზე შპს „ჰაიდრო ინვესტ ჯი ეის“ 5,2 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ზარზმა ჰესის) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N2;
2. შპს „ჰაიდრო ინვესტ ჯი ეი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N2 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჰაიდრო ინვესტ ჯი ეის“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჰაიდრო ინვესტ ჯი ეის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ადიგენის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო